ბიზნეს სიახლეები

2025 წლის მეოთხე კვარტალში გამოქვეყნებული სიახლეები

საგადასახადო სიახლეები

! განახლდა „დებიტორული დავალიანების შესახებ“ მეთოდური მითითება

ცვლილებები შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებაში „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ“, რომლის ფარგლებშიც ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა მეთოდური მითითება „დებიტორული დავალიანების შესახებ“ (დანართი №11).

ცვლილების შესაბამისად, საგადასახადო შემოწმების პროცესში **გადახდილ ავანსებთან და საქონლის მიწოდებიდან/მომსახურების გაწევიდან წარმოშობილ დებიტორულ დავალიანებებთან** დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის საკითხები დარეგულირდა მხოლოდ არარეზიდენტი პირების ნაწილში.„
კერძოდ, მეთოდური მითითებით დადგინდა, რომ:

- **არარეზიდენტისთვის გადახდილი ავანსი** დაკვალიფიცირდება საწარმოს დირექტორზე (ან სხვა იდენტიფიცირებად პასუხისმგებელ პირზე) გაცემულ ხელფასად, თუ:
  - ავანსის გადახდიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს საგადასახადო შემოწმების დასრულებამდე, არ არის მიღებული შესაბამისი საქონელი ან მომსახურება;
  - საგადასახადო შემოწმების დანიშვნის თარიღამდე არ დასტურდება ავანსის დაბრუნება.
- **არარეზიდენტისთვის საქონლის მიწოდებით/მომსახურების გაწევით წარმოშობილი დებიტორული დავალიანება ჩაითვლება** ანაზღაურებულ მოთხოვნად და დაკვალიფიცირდება დირექტორზე გაცემულ ხელფასად, თუ:
  - დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია გონივრული ვადა;
  - საგადასახადო შემოწმების დანიშვნის თარიღამდე არ დასტურდება მისი ანაზღაურება;
  - საქონლის მიწოდების შემთხვევაში, საგადასახადო შემოწმების დასრულებამდე არ დასტურდება საქონლის უკან დაბრუნება.

ამასთან, გონივრული ვადა შეიძლება განისაზღვროს **ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის** ოდენობით.
ასევე მეთოდური მითითებით დადგენილია გადაკვალიფიცირებულ თანხებთან მიმართებით მატერიალურობის ის ზღვრები, რომელთა ფარგლებში აუდიტორს შეუძლია არ მოახდინოს ოპერაციების კვალიფიკაციის შეცვლა:

- მცირე კატეგორიის გადასახადის გადამხდელი – 1 000 ლარი;
- საშუალო კატეგორიის გადასახადის გადამხდელი – 10 000 ლარი;
- მსხვილი კატეგორიის გადასახადის გადამხდელი – 100 000 ლარი.

აღსანიშნავია, რომ კვალიფიკაციის შეცვლა არ მოხდება დებიტორული დავალიანების ან ავანსის იმ ნაწილებთან მიმართებით, რომლებიც დადგენილი პრაქტიკის ან გადასახადის გადამხდელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიიჩნევა მხარეებს შორის **საქმიანი ურთიერთობის აუცილებელ და ლოგიკურ კომპონენტად.**

ნორმატიული აქტი: „ცალკეულ შემთხვევებში პირის საგადასახადო ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ შემოსავლების სამსახურის უფროსის N22708 ბრძანება

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 4 ნოემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/f08be43f-6d24-4236-9479-a5a4fe058da3

ECOVIS®

შეიცვალა ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული დივიდენდების მოგების გადასახადით დაბეგვრის წესი

როგორც მოგეხსენებათ, 2023 წლიდან ფინანსური ინსტიტუტების (საბანკო დაწესებულება, საკრედიტო კავშირი, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, სესხის გამცემი სუბიექტი) დასაბეგრი მოგება იბეგრება 20%-იანი განაკვეთით, ნაცვლად 15%-ისა. აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე დაზუსტდა, რომ ფინანსური ინსტიტუტების მიერ 2023 წლის და შემდგომი პერიოდების მოგების განაწილების შედეგად მიღებული მოგების შემდგომი განაწილება აღარ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ნორმატიული აქტი: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/2737091a-9f44-4076-935c-1caab5038e66

დღგ-სგან გათავისუფლდა საინვესტიციო ოქროს მიწოდება და იმპორტი

დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლდა როგორც საინვესტიციო ოქროს მიწოდება, ისე მისი იმპორტი. ამასთან, განისაზღვრა საინვესტიციო ოქროს ცნება - ეს არის ზოდი/ფირფიტა არანაკლებ 995 სინჯის, მონეტა – არანაკლებ 900 სინჯის.

ნორმატიული აქტი: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/2737091a-9f44-4076-935c-1caab5038e66

განიმარტა სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ 2024 წლამდე მიღებული მოგების განაწილების დაბეგვრის წესი

როგორც მოგეხსენებათ, 2024 წლის 1 იანვრიდან სადაზღვევო ორგანიზაცია იბეგრება განაწილებული მოგების გადასახადის მიხედვით. დაბეგვრის რეჟიმის აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე, შეიცვალა მოგების გადასახადით დაბეგვრის წესი 2024 წლამდე მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებით.
კერძოდ, სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ 2015–2024 წლებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება მიიჩნევა მოგების განაწილებად, ხოლო აღნიშნული დივიდენდის შემდგომი განაწილება მოგების განაწილებად აღარ განიხილება.

ნორმატიული აქტი: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/2737091a-9f44-4076-935c-1caab5038e66

შეიცვალა აქციზის ფიქსირებული განაკვეთები და გამოთვლის წესი თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე

2026 წლის 1 იანვრიდან შეიცვალა აქციზის ფიქსირებული განაკვეთები და აქციზის თანხის გაანგარიშების წესი ადგილობრივი წარმოების და იმპორტულ თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმზე:

- ადგილობრივი წარმოების სიგარეტები (სეს-ესნ 2402 20)

ყოველწლიურად 35 მილიონ კოლოფამდე/შეფუთვამდე დაიბეგრება 20 ღერზე 1.3 ლარის ოდენობის აქციზით (ნაცვლად 1.9 ლარისა);

- 35 მილიონ კოლოფზე/შეფუთვაზე მეტი ადგილობრივი წარმოების სიგარეტები, ასევე იმპორტირებული სიგარეტები, დაიბეგრება 20 ღერზე 2.75 ლარის ოდენობის აქციზის განაკვეთით (ნაცვლად 1.9 ლარისა);
- თამბაქოს შემცველობის კაფსულები და მსგავსი პროდუქტები (სეს-ესნ 2404 11 000 00) დაიბეგრება 20 ცალზე/ღერზე 2.7 ლარის ოდენობის აქციზის განაკვეთით (ნაცვლად 1.85 ლარისა);

ამასთან, შეიცვალა აქციზის თანხის გაანგარიშების წესი და მისი გაანგარიშება მოხდება შემდეგი წესით:

- ადგილობრივი წარმოების სიგარეტებისთვის (35 მილიონ კოლოფამდე)

ფიქსირებული განაკვეთის (1.3 ლარი) და საცალო სარეალიზაციო ფასის 15%-ის ჯამი;

- იმპორტირებული სიგარეტებისა და ზღვარზე მეტი ადგილობრივი წარმოების სიგარეტებისთვის ფიქსირებული განაკვეთის (2.75 ლარი) და საცალო სარეალიზაციო ფასის 20%-ის ჯამი;
- კაფსულებისა და მსგავსი პროდუქტებისთვის ფიქსირებული განაკვეთის (2.7 ლარი) და საცალო სარეალიზაციო ფასის 20%-ის ჯამი;

ნორმატიული აქტი: შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №20688 „საგადასახადო შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმების თანხების 50 პროცენტის გაუქმების შესახებ“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 26 სექტემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/7627bcbb-b9ba-4a06-88a7-6c44f24a0301

გახანგრძლივდა გარკვეული საგადასახადო შეღავათების მოქმედების ვადები

2028 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი შემდეგი კონკრეტული შეღავათების მოქმედების ვადები:

- სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდებით მიღებული დასაბეგრი შემოსავლის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება;
- სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებული ფიზიკური პირის მიერ ამ საქმიანობის ფარგლებში გაცემული ხელფასის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილების მოგების გადასახადისგან გათავისუფლება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონებისა (გარდა მიწისა) და ამავე საქმიანობისთვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონების ქონების გადასახადისგან გათავისუფლება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და მის წევრთა (მეპაიეთა) შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდებით ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება;
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისგან მიღებული დივიდენდების საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება.

2028 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული შემდეგი შეღავათების მოქმედების ვადები:

- რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება;
- არარეზიდენტის მიერ, რეზიდენტი იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით გამოშვებული და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე სავაჭროდ დაშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდიდან პროცენტის სახით მიღებული შემოსავლის მოგების გადასახადისგან გათავისუფლება;

2028 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა თამბაქოს ნედლეულის იმპორტის გადასახადისგან გათავისუფლებასთან დაკავშირებული შეღავათის მოქმედების ვადა.

2028 წლის 1 იანვრამდე გახანგრძლივდა საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულებისგან გათავისუფლება ფიზიკური პირისთვის, რომელიც არ იყენებს დაქირავებული პირის შრომას და ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრის (ბაზრობის) ტერიტორიაზე განლაგებული არასტაციონარული სავაჭრო ადგილიდან.

2028 წლის 1 იანვრამდე გაგრძელდა ფიზიკური პირის მიერ საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ადგილის მოკლე ვადით გაცემით მიღებული შემოსავლის ფიქსირებული საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის შესაძლებლობა.

2008 წლის აგვისტომდე დაწყებული მშენებლობების სრულად დასრულების მიზნით, 2028 წლამდე დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლდა კონკრეტული უძრავი ქონების მიწოდება, აგრეთვე უძრავი ქონების მიმწოდებლის მიერ მიწოდებულ ქონებასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების გაწევა.

2028 წლის იანვრამდე დღგ-ისგან გათავისუფლდა იმ საქონლის იმპორტი, რომელიც მოცემულია სსკ-ის 199-ე მუხლის „დ“ და „ო“ ქვეპუნქტებში, კერძოდ:

- **კვების პროდუქტები** – დღეში ერთხელ, არაუმეტეს 500 ლარის ღირებულებისა და 30 კგ საერთო წონის (არასაეკონომიკური დანიშნულებით).
- **სხვა საქონელი (სეს ესნ 28–97 ჯგუფები**) – 30 დღეში ერთხელ, არაუმეტეს 500 ლარის ღირებულებისა და 30 კგ საერთო წონის (არაეკონომიკური დანიშნულებით).
- **თამბაქოს ნაწარმი (მგზავრი**) – დადგენილი ზღვრული ოდენობების ფარგლებში (მაგ. 200 ღერი სიგარეტი, 250 გრამი თამბაქო ან ეკვივალენტი).
- **ალკოჰოლიანი სასმელები (მგზავრი)** – დადგენილი ლიმიტებით (მაგ. 1 ლიტრი ძლიერი ალკოჰოლი, 2 ლიტრი მსუბუქი, ან 4 ლიტრი ღვინო და 16 ლიტრი ლუდი).
- **ხანგრძლივი ყოფნის შემდეგ დაბრუნებული პირის** მიერ გარკვეული კოდებით განსაზღვრული 15 000 ლარის ღირებულების საქონლის იმპორტი ;
- **მუდმივ საცხოვრებლად შემოსვლა** – პირადი სარგებლობის საქონელი, მათ შორის ავეჯი და ერთი სატრანსპორტო საშუალება ოჯახზე.
- **საფოსტო გზავნილები** – არაუმეტეს 300 ლარის ღირებულებისა და 30 კგ წონის საქონელი, ასევე თამბაქო და ალკოჰოლი დადგენილი ლიმიტებით.
- **საჰაერო ტრანსპორტით შემოტანა** – არაუმეტეს 3 000 ლარის ღირებულებისა და 30 კგ საერთო წონის საქონელი.
- **საფოსტო გზავნილით იმპორტი** – სეს ესნ 28–97 ჯგუფები (300 ლარამდე ღირებულება, 30 კგ-მდე წონა), თამბაქოს ნაწარმი (200 ღერი სიგარეტი, 50 სიგარა/სიგარილა, 250 გრამი სხვა ნაწარმი ან ეკვივალენტი), ელექტრონული თამბაქოს სითხე (ჯამურად 50 მლ) და ალკოჰოლიანი სასმელები (ჯამურად 4 ლიტრამდე), არაეკონომიკური საქმიანობისთვის განკუთვნილი.

2028 წლის 1 იანვრამდე გახანგრძლივდა საქონლის იმპორტისას დღგ-ით დასაბეგრი თანხის გაანგარიშების არსებული წესის მოქმედება.

ნორმატიული აქტი: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/2737091a-9f44-4076-935c-1caab5038e66

გაუქმდა ბაზრობისა და სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსები და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები

გაუქმდა ბაზრობის ორგანიზებისა და სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსები, რომლითაც ბაზრობის ტერიტორიაზე მოვაჭრეთათვის გათვალისწინებული იყო სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები. საგადასახადო კოდექსიდან ამოღებულ იქნა აღნიშნულ სტატუსებთან დაკავშირებული ნორმები.

ნორმატიული აქტი: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/2737091a-9f44-4076-935c-1caab5038e66

დაზუსტდა ქვეყნების მიხედვით მულტინაციონალურ საწარმოთა ჯგუფის ანგარიშგების წარდგენის ვადა

2026 წლიდან მულტინაციონალური ჯგუფის საბოლოო მშობელი საწარმო ვალდებული იქნება წარადგინოს ანგარიში საანგარიშო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 12 კალენდარული თვის განმავლობაში.

ნორმატიული აქტი: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/2737091a-9f44-4076-935c-1caab5038e66

განახლდა/დამტკიცდა საგადასახადო მოთხოვნისა და საგადასახადო დავის გასაჩივრებაზე უარის თქმის განცხადების ფორმები

დაზუსტდა განცხადება საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ, რომელსაც დაემატა შესაბამისი გრაფა საბაჟო სამართალდარღვევის ოქმის გასაჩივრებაზე უარის თქმის შემთხვევებისთვის.
ამასთან, დამტკიცდა საგადასახადო დავის განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ ახალი განცხადების ფორმა, რომელშიც უნდა აისახოს ინფორმაცია იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიღებულია საქართველოს შემოსავლების სამსახურის ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროთან არსებული დავების განმხილველი საბჭოს მიერ და რომლის გასაჩივრებაზეც პირი აცხადებს უარს.

ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება
ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2026 წლის 1 იანვარი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/c951306c-d9c1-4fd9-88a8-bc94ec25468d

! ცვლილებები შევიდა გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადისა და მოგების გადასახადის დეკლარაციებში

ინოვაციური სტარტაპის, ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის და კვლევებისა და განვითარების მომსახურების გამწევი კომპანიის მიერ შესაბამისი სტატუსებით გათვალისწინებული შეღავათებით სარგებლობის მიზნებისთვის განხორციელდა ცვლილებები გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადისა და მოგების გადასახადის დეკლარაციებში.
ამასთან, 2025 წლის 10 დეკემბრიდან ამოქმედდა ინოვაციური მცირე და საშუალო კომპანიის სტატუსის მქონე სუბიექტის მიერ მოგების გადასახადით დასაბეგრი განაწილებული მოგების თანხის გაანგარიშების ფორმა.

ნორმატიული აქტი: „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანება

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 2025 წლის 10 დეკემბერი

წყარო: https://infohub.rs.ge/ka/workspace/document/0b76f037-fbab-4393-8ac3-73c9e6b99f1e

ECOVIS®

სხვა საკანონმდებლო სიახლეები

! ცვლილებები შევიდა „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სამედიაციო მორიგებასთან დაკავშირებული საკითხები

სასამართლოს მთავარ სხდომაზე სარჩელზე უარის თქმის, სარჩელის ცნობის, მხარეთა მორიგებისა ან სასამართლო მედიაციის პროცესში დავის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება, ხოლო სასამართლოს მთავარ სხდომამდე აღნიშნული შემთხვევების არსებობისას მხარეები სრულად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან;

ცვლილებამდე სასამართლო მედიაციის პროცესში დავის შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდებოდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

98-ე მუხლის ცვლილებით დადგინდა, რომ სასამართლოში საქმის წარმოების უფლებამოსილება წარმომადგენელს აძლევს უფლებას, მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა სარჩელის აღძვრისა, საქმის არბიტრაჟისთვის გადაცემისა, სასამართლო მედიაციის პროცესში წარმომადგენლობისა, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმისა, სარჩელის ცნობისა, სარჩელის საგნის შეცვლისა, მორიგებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, სააღსრულებო ფურცლის გადასახდევინებლად წარდგენისა, მიკუთვნებული ქონების ან ფულის მიღებისა. წარმომადგენლის უფლებამოსილება ამ მუხლით გათვალისწინებული თითოეული საპროცესო მოქმედების შესრულებისთვის სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული მარწმუნებლის მიერ გაცემულ მინდობილობაში.

ასევე, სასამართლო მედიაციის ვადად განისაზღვრა 45 დღე, რომლის განმავლობაში უნდა გაიმართოს სულ მცირე ორი შეხვედრა, ხოლო ვადის დენა იწყება საქმის მედიატორისთვის განაწილების მომენტიდან.
ცვლილებამდე სასამართლო მედიაციის ვადა და მისი დენის დაწყების მომენტი კანონით კონკრეტულად განსაზღვრული არ იყო.

ნორმატიული აქტი: „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 09 დეკემბერი, 2025 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6691127?publication=0

! ცვლილებები შევიდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სანქცია სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) მიმართ

კოდექსს დაემატა ახალი 82^6 მუხლი, რომლითაც დადგინდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების დარღვევისათვის სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი პლასტმასის მასალებისა და ნაკეთობების (საგნების) მიმართ. განისაზღვრა სანქცია მოთხოვნების დარღვევისათვის ჯარიმის 1 000 ლარის ოდენობით და შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით, ხოლო განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში — 2 000 ლარის ოდენობით ჯარიმა შესაბამისი პროდუქციის კონფისკაციით. ამავე მუხლით განისაზღვრა გამონაკლისი შემთხვევები, რომლებიც დარღვევად არ ჩაითვლება. ცვლილებამდე აღნიშნული ქმედებებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ამ კოდექსით განსაზღვრული არ იყო.

222-ე მუხლის პირველი ნაწილით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილ თანამშრომლებს მიენიჭათ 82^6 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება.

ECOVIS®

ნორმატიული აქტი: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 01 იანვარი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6693439?publication=0

! ცვლილებები შევიდა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა შუალედური მომსახურების მიმწოდებლის ვალდებულებები და მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძვლები

შუალედური მომსახურების მიმწოდებელს საავტორო უფლების, მომიჯნავე უფლების ან მონაცემთა ბაზის დამამზადებლის უფლების დარღვევისთვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ იგი უფლების მფლობელისგან ამ კანონის 59-ე მუხლის მე-10 პუნქტით დადგენილი წესით შედგენილი წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე ან მისი მიღებიდან არაუგვიანეს 24 საათისა წაშლის სავარაუდო კონტრაფაქციულ ასლებს ან შეზღუდავს მათ ხელმისაწვდომობას, რაც დაუყოვნებლივ ეცნობება აღნიშნული უფლების სავარაუდო დამრღვევს.
შუალედური მომსახურების მიმწოდებელი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 24 საათის განმავლობაში წერილობით აცნობოს უფლების მფლობელს განხორციელებული ღონისძიებებისა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

ნორმატიული აქტი: „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი".

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 09 დეკემბერი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6685836?publication=0

! ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ კანონი

2026 წლის 1 იანვრიდან ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი და გაუქმდა საქართველოს ბიზნესომბუდსმენისა და მისი მოადგილის/მოადგილეების თანამდებობები, ხოლო, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 28 მაისის კანონი. ბიზნესომბუდსმენის აპარატი შეუერთდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვიტარების სამინისტროს. 2026 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ბიზნესომბუდსმენმა დაიკავა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მრჩევლის თანამდებობა და ახორციელებს საქართველოს ბიზნესომბუდსმენის უფლებამოსილებას.

ნორმატიული აქტი: „საქართველოს ბიზნესომბუდსმენის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 09 იანვარი, 2026 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6699230?publication=0#DOCUMENT:1

! ცვლილებები შევიდა „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №231/ნ-ში, დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საფუძვლებთან დაკავშირებით

ძველი რედაქციით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემის/შვებულების ანაზღაურების საფუძველს წარმოადგენდა, დასაქმებულზე/საჯარო მოსამსახურეზე შევსებული საავადმყოფო ფურცელი; არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის თანახმადაც, ბავშვის მოვლის გამო დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს დასაქმებულზე შევსებული საავადმყოფო ფურცელი. აღნიშნული ქვეპუნქტის ძალადაკარგულად ცნობას საფუძვლად დაედო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2025 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილება №2/10/1317.

ნორმატიული აქტი: „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №231/ნ“

ცვლილების ამოქმედების თარიღი: 25 დეკემბერი, 2025 წელი

წყარო: https://matsne.gov.ge/ka/document/view/6727307?publication=0

საკონტაქტო ინფორმაცია

აფაქიძის ქ.5, ტიფლის ბიზნეს
ცენტრის მე-11 სართული, თბილისი

+995 032 243 22 81
tbilisi@ecovis.ge
www.ecovis.ge